საქართველოს მთავრობის
განკარგულება

№1043 2016 წლის 9 ივნისი ქ. თბილისი

„საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივისათვის, სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრისა და სსიპ - სმართ ლოჯიქისათვის (SMART LOGIC) „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლით გათვალისწინებულ შეზღუდვებზე გამონაკლისების დაშვების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 22 დეკემბრის №2773 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივისათვის, სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრისა და სსიპ - სმართ ლოჯიქისათვის (SMART LOGIC) „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლით გათვალისწინებულ შეზღუდვებზე გამონაკლისების დაშვების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 22 დეკემბრის №2773 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივის შტატგარეშე მომუშავეთა რაოდენობა განისაზღვროს არა უმეტეს 110 ერთეულით;“.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**